წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის ოქმი N20

ქ.წალენჯიხა 15 ნოემბერი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, ნონა კვარაცხელია, ვლადიმერ კვარაცხელია ,ბორის კვარაცხელია, ცოტნე მესხია, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირები, საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12:50 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
   მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია -საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე.

მოისმინეს: 1. საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ საკრებულოს დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკრებულოს აპარატში წარმოდგენილ საკითხებთან (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის და 2018-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტები) დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების პროექტი.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 49)

სხდომის თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია